ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- ნოემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები ფიქსირდება.
- დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.4% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია ტრანსპორტის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს, საცხოვრებლის, სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების, განათლების ჯგუფებზე ფასების ზრდით.
- ნოემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 3.6%-ით შემცირდა, ხოლო ხარჯები 1.2%-ით გაიზარდა.
- ნოემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 49.4 მლრდ ლარი შეადგინა; მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.
- იანვარ-ნოემბერში* საქონლის ექსპორტმა 11.1%-ით, ხოლო იმპორტმა 16.1%-ით მოიმატა. ამავე პერიოდში სავაჭრო ბრუნვამ 19,613 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- ნოემბერში* ფულადმა გზავნილებმა 292.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 37.1%) და რუსეთი (25.7%) წარმოადგენდნენ.
- დეკემბერში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5,003 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2.1%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- ნოემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტებსა და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი მცირედით გაიზარდა.
- დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.7%-ით გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ 0.5%-ით გაუფასურდა.
- დეკემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტებიდან აშშ დოლარის მიმართ მხოლოდ ქართული ლარი გამყარდა, ხოლო დანარჩენი გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2024 წ.

1. რეალური და ფისკალური სექტორი



ნოემბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 5.9%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ნოემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.9% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





დეკემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა.

წინა წლის დეკემბერთან მიმართებით, 2023 წლის დეკემბერში ინფლაციის დონე 0.4%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ტრანსპორტზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, სასტუმროებზე, კაფეებსა, რესტორნებზე და განათლებაზე. დეკემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.9%-ით განისაზღვრა. 2023 წლის ნოემბერში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 0.4% შეადგინა.



ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო
(მლნ ლარი)



ნოემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.
2023 წლის ნოემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 3.6%-ით შემცირდა, ხოლო ხარჯები 1.2%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 250.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 259.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

შემოსავლები და ხარჯები
(მლნ ლარი)



ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები
(მლნ ლარი)



ნოემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.
წინა წლის ნოემბერთან მიმართებით, 2023 წლის ნოემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 15.5%-ით მოიმატა და 49.4 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 15.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 15.7%-ით გაიზარდა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 0.36%-ული პუნქტით მოიმატა და 45.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (53.8%) შინამეურნეობებზე მოდის.

საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი სესხი - 20.6% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.2% - მშენებლობის, 18.4% - მრეწველობის, 13.4% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.2% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით
(ნაკადები)



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - ნოემბერი



იანვარ-ნოემბერში*, წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.
კერძოდ, ექსპორტმა 11.1%-ით, ხოლო იმპორტმა 16.1%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 14.7%-ით გაიზარდა და 19,613 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.5%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთსა (767%-ით) და ყაზახეთში (224%-ით) მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო, აგრეთვე, სომხეთში (44%-ით), აზერბაიჯანში (32%-ით), უზბეკეთში (13%-ით), რუსეთში (3%-ით).
საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (155%-ით), სპირტიანი სასმელების (42%-ით), უალკოჰოლო სასმელების (35%-ით), ელექტროენერგიის (23%-ით), მინერალური წყლის (17%-ით), ნატურალური ღვინის (3%-ით) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (67%-ით), სპილენძის მადნების (49%-ით), აზოტოვანი სასუქების (41%-ით) საზღვარგარეთ გატანა.

უმსხვილესი საექსპორტო საქონელი
(იანვარი - ნოემბერი)



ფულადი გზავნილები (%)
ნოემბერი



ნოემბერში* ფულადი გზავნილები შემცირდა.
წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის ნოემბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 43.8%-ით შემცირდა და 292.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 37.1%) და რუსეთი (25.7%) წარმოადგენდნენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა: ყაზახეთიდან (71%-ით), ირლანდიიდან (67%-ით), აშშ-დან (42%-ით), გერმანიიდან (32%-ით), კანადიდან (25%-ით), უზბეკეთიდან (24%-ით), საუდის არაბეთიდან (24%-ით). ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: ყირგიზეთიდან (86%-ით), რუსეთიდან (76%-ით), სომხეთიდან (69%-ით) და სხვა.

ფულადი გზავნილები
(მლნ აშშ დოლარი)
იანვარი - ნოემბერი



დეკემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,003 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის დეკემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,003 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 2.1%-ით მეტია, წინა თვესთან მიმართებით კი 2.3%-ით ნაკლები.

2023 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე სავალუტო ოპერაციები არ განუხორციელებია.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

ნოემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის ნოემბერში* სარეზერვო ფულის მასა 4.6%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 31.0%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.3%-ს გაუტოლდა. დეკემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.4% შეადგინა.





ნოემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე მცირედით გაიზარდა.

ნოემბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.48%-ული პუნქტით გაიზარდა და 48.6%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.36%-ული პუნქტით მოიმატა და 45.4% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, ნოემბრის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.0%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.0%-ით გაიზარდა.





ნოემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.2%-ული პუნქტით შემცირდა, ხოლო სესხებზე 0.4%-ული პუნქტით გაიზარდა.

ნოემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.7% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) ნოემბრის* მდგომარეობით 5.7% შეადგინა, 0.73%-ული პუნქტით მეტი წინა წლის ნოემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.5%-ული პუნქტით შემცირდა და 9.5% შეადგინა.

დეკემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გამყარდა, ევროს მიმართ კი მცირედით გაუფასურდა.

დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.7%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 0.5%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 2.4%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, დეკემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.1%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 3.1%-ით გაუფასურდა, თურქული ლირასთან მიმართებით კი 56.0%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, გასულ წლებთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

დეკემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთის, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 64.8% შეადგინა, ხოლო სომხეთში დეფლაცია (-0.6%) დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის ნოემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 2.6%-ით, ხოლო რუსეთში 7.5%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, დეკემბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
დეკემბერი, 2023



დეკემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, ქართული ლარის გარდა, აშშ დოლართან მიმართებაში გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დეკემბერში აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა ქართული ლარი (0.1%-ით), ხოლო გაუფასურდა თურქული ლირა (35.9%-ით), რუსული რუბლი (27.9%-ით), სომხური დრამი (2.3%-ით) და აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	11.0	8.4	5.8	7.3	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	5.1	6.2	5.9	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	16.6	18.8	11.7	9.2	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	3.0	6.0	2.6	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	9.8	9.4	8.1	5.3	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7	0.8	0.1	0.4
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.00	10.00	10.00	9.50
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	0.4	0.5	0.5	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	2.7	2.7	2.6	2.6	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6	2.7	2.7	2.7
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	535 251.1	444 964.0	372 328.3	438 392.2	369 709.2	384 885.8	353 170.7	301 068.1	287 005.6	283 878.0	283 006.1	292 732.9	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	555.8	459.0	455.8	546.7	500.5	541.4	550.4	529.8	495.8	528.0	494.9	482.0	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 469.3	1 114.9	1 067.7	1 378.2	1 223.2	1 328.6	1 339.8	1 321.9	1 406.8	1 374.0	1 261.8	1 211.5	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-913.5	-655.9	-611.9	-831.5	-722.7	-787.3	-789.4	-792.1	-911.0	-846.0	-766.9	-729.5	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4 900.6	4 899.3	4 720.2	5 003.8	5 133.4	5 005.3	5 066.7	5 436.1	5 436.8	5 273.2	5 118.8	5 121.7	5 003.0
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	2 151.6	1 858.0	1 555.1	1 656.6	2 165.0	1 755.9	1 877.8	1 846.9	1 721.5	1 821.2	1 913.4	1 830.8	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	2 090.5	1 357.0	1 422.1	1 450.0	1 496.7	1 568.9	1 441.2	1 901.2	1 269.0	1 496.1	1 626.2	1 580.7	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	1 054.5	185.9	313.1	317.4	414.1	400.6	495.8	365.4	659.1	616.0	468.6	544.5	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[1]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[1] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.